პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 239 (3216) 11

1966 წ. დეკემბერი. კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ აკაურმა ᲭᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲨᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲙᲐᲕᲨᲘᲠᲛᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲬᲧᲘᲡᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲙᲚᲣᲑᲘ.

ᲜᲝᲠᲩ ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲨᲘ

ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ მოსწავლეთა X საიუბილეო საკავშირო სპარტაკიადა. ამ დიდმნიშვნელოვანი ასპარეზობისთვის ჩვენი რესპუბლიკის გუნდების დაკომპლექტებისა და მაღალხარისხოვნად მომზადებისთვის მრავალ ღონისძიებას აწყობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილება.

სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები ამხანაგურ მატჩებს მართავენ რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის, მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა რესპუბლიკებისა და ქალაქების წარმომადგენლებთან. ამას წინათ ასეთი ამხანაგური მატჩები ჩაატარეს წყალში მხტომელებმა, კალათბურთელებმა, ფრენბურთელებმა და ხელბურთელებმა, ხოლო ფეხბურთელებმა მონაწილეობა მიიღეს კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში.

სურათებზე: ზევით — ხელბურთელთა ნაკრები გუნდის წევრი, ქუთაისელი ა. ხეფიაშვილი თამაშის დროს. მან უკრაინელ ხელბურთელებთან სამ შეხვედრაში 29 გოლი გაიტანა.

ფეხბურთელთა ტურნირში თავი გამოიჩინა ბათუმის მე-14 საშუალო სკოლის მეათეკლასელმა ჯ. მორჩილაძემ (ქვევით).

ᲤᲝᲢᲝ და ᲢᲔᲥᲡᲢᲘ ი. იუნაევისა.

ᲥᲮᲘᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

● **ᲓᲝᲜᲔᲪᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ, 9 დეკემბერი.** სსრ კავშირის თასი რაპირით ფარიკაობაში წლეულსაც მოსკოველმა პ. სიმონოვამ მოიპოვა. II ადგილზე გავიდა ვ. ლუკიანჩენკო (რსფსრ), ხოლო III — გამარჯვებულის თანაქალაქელი ო. ზუევი. სსრ კავშირის თასის გათამაშებაში მონაწილეობენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის მოფარიკაველები.

● **ᲓᲝᲜᲔᲪᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ, 10 დეკემბერი.** ბელორუსიელი მოფარიკავე დ. ნიკახჩიკოვა დღეს სსრ კავშირის თასის მფლობელი გახდა რაპირისტ ქალთა ასპარეზობაში. თასის შარშანდელმა მფლობელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, მოსკოველმა ვ. რასტვოროვამ წააგო II ადგილზე გასულ ნ. კონდრატიევასთან. III ადგილზეა სპორტის ოსტატი ლ. ნიკიფოროვა (უკრაინა).

● **ᲙᲐᲜᲝ, 9 დეკემბერი.** ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით, ფიზკულტურისა და სპორტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნგუენ ვან გუანმა შრომის III ხარისხის ორდენი და მედალი „მეგობრობისთვის" გადასცა საბჭოთა მწვრთნელს ვ. კრილოვს, რომელიც ეხმარებოდა კომიტეტს ვიეტნამის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ცენტრალური სკოლის ფეხბურთელთა გუნდის მომზადებაში.

● **ᲛᲔᲚᲑᲣᲠᲜᲘ, 9 დეკემბერი.** ადგილობრივ „ოლიმპიკ-პარკის" სტადიონზე აფრიკელ და ავსტრალიელ მძლეოსანთა შეჯიბრებისას ამინდმა სპორტსმენებს მაღალი შედეგების მოპოვებაში ბეუშალა ხელი (ქროდა ძლიერი ქარი და ყინვა 13 გრადუსს აღწევდა). 3 კილომეტრზე წინაღობებით რბენაში გაიმარჯვა მასპინძელმა ბლეკვუდმა — 8.47,6. აფრიკელი კოგო მას 6-7 მეტრით ჩამორჩა ნახევარ მილზე რბენაში ყველას აჯობა კიპრუგუტმა (1.51,8), რომელმაც 5 მეტრით ჩამოიტოვა მასპინძლები ბენსონი და ვუდსი.

● **ᲞᲠᲐᲰᲐ, 9 დეკემბერი.** აქ დაიწყო მოსკოვისა და ადგილობრივ მოჭადრაკეთა მატჩი. თვითეულ გუნდში 8 ვაჟი და 1 ქალია. მეტოჭენი ერთმანეთს ორჯერ შეხვდებიან. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა სმისლოვმა მოუგო ჰორტს, კიმელფელდმა — მარშალეკს, მოსკოვის ჩემპიონმა ბაკულინმა — ტრაპლს, ხოლო მსოფლიო ჩემპიონობის ამასწინანდელმა პრეტენდენტმა კუშნირმა — ერეტოვას. კავალეკ — ვასიუკოვის, სიმაგინ — იანსასა და იანატა — იგნატიევის პარტიები ყაიმით დასრულდა. ჯერჯერობით ანგარიშია 5,5:1,5 მოსკოველთა სასარგებლოდ (2 პარტია გადადებულია: ლიბერზონს ზედმეტი პაიკი აქვს ეტლების ენდშპილში სმეიკალთან, ხოლო ალსტერს მოგების დიდი შანსები — ჩისტიაკოვთან).

სპორტული ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲔᲣᲡᲔᲑᲘᲝ—ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲞᲐᲕᲐᲜᲐ. ...ლების საგენტომ „პრენსა ლატინა" ჩაატარა ტრადიციული ანკეტა „1966 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი" (წლეულს მხედველობაში მიიღეს არა მარტო მსოფლიოს VIII ჩემპიონატის შედეგები, არამედ ფეხბურთელის გამოსვლები ეროვნულ პირველობაში).

ხმათა უმრავლესობა წილად ხვდა პორტუგალიელ ეუსებიოს. II ადგილი დაიკავა ინგლისის ეროვნული ნაკრების კაპიტანმა ბ. მურმა. III ადგილზეა პელე, რომელმაც, „პრენსა ლატინას" აზრით, ტრავმების გამო სრულად ვერ გამოავლინა თავისი ოსტატობა. შემდეგ მოდიან: ბ. ჩარლტონი (ინგლისი), სპენსერი (ურუგვაი), ბეკენბაუერი (გფრ), როჩა (ურუგვაი), მარზოლინი (არგენტინა), იაშინი (სსრ კავშირი), პერსტი (ინგლისი), ჰალერი (გფრ), პაკ დუ იკი (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა), ბენე და ალბერტი (ორივე — უნგრეთი).

ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲮᲐᲖᲖᲔ

მე-2 გვ.

ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲚᲐᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ

მე-3 გვ.

ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲝᲨᲘ — 5 : 0

მე-4 გვ.

ᲛᲝᲢᲝᲪᲘᲙᲚᲔᲑᲖᲔ ᲐᲛᲮᲔᲓᲠᲔᲑᲣᲚᲜᲘ...

ᲩᲔᲠᲙᲔᲡᲘ, 9 დეკემბერი. „სპარტაკის" სტადიონზე გაიმართა ფინალური მატჩი ჟურნალ „ზა რულიომის" თასზე მოტობურთში. ერთმანეთს შეხვდნენ „კომეტა" (ელისტას ავტომოტოკლუბი) და „კოლოსი" (რუბცოვოს ავტომოტოკლუბი). გაიმარჯვეს კომეტელებმა — 11:0.

ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ

XXVI ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲜ ᲧᲐᲘᲛᲔᲑᲡ

ᲙᲘᲔᲕᲘ, 10 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს, საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის XV ტურში, ყურადღების ცენტრში იყო ლიდერების — ალექსანდრიასა და ზატულოვსკაიას შეხვედრები. თბილისელი თეთრებით ეთამაშებოდა რუბცოვას, ხოლო ბაქოელი ოსტატი შავებით — მოროზოვას. მრავალრიცხოვანი მაყურებლის მოლოდინი გამართლდა: ორივე პარტიაში უაღრესად მწვავე და საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა. ალექსანდრიამ პაიკი მოუგო მეტოქეს, მაგრამ დროის ნაკლებობას გახიდდა და მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით აღინიშნა მოროზოვა — ზატულოვსკაიას პარტიაც.

კოზლოვსკაიამ მოუგო კახაბრიშვილს, კისლოვამ — იდელჩიკს, ვოიციკმა — ბიკოვას, რანნიკუმ — მუსლმოვას.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

15 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: ალექსანდრია და ზატულოვსკაია — 10,5-10,5 ქულა, კოზლოვსკაია და კისლოვა — 10-10.

• • •

დარჩენილ ოთხ ტურში ნ. ალექსანდრია უნდა შეხვდეს: ზატულოვსკაიას, კახაბრიშვილს, ბოიახჩიანსა და რანნიკუს.

ᲕᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲙᲝᲑᲐ ᲬᲐᲥᲐᲫᲔ ᲛᲘᲘᲦᲒᲘᲔᲡ

ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲘ, 10 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). როგორც ცნობილია, ყოველი ახალი წლის მიჯნაზე რეგულარულად ეწყობა „ძფრიანავ მოთხილამურეთა" საერთაშორისო შეჯიბრება — „ოთხი ტრამპლინის ტურნირი". ამ ასპარეზობაში სსრ კავშირის მხტომელებიც მონაწილეობენ და ხშირად წარმატებითაც. ამ მხრივ პრიორიტეტი ეეტერანებს — კ. წაქაძეს, ნ. კამენსკისა და ნ. შამოვს ეკუთვნით, მაგრამ დღეს მათგან ჩვენი ქვეყნის ნაკრებში ბაკურიანელი მოთხილამურეღა დარჩა.

გუნდის წევრები კარგა ხანია ემზადებიან მომავალი საერთაშორისო შეხვედრებისთვის, ამას წინათ კი სვერდლოვსკში ქალაქ მოსინჯეს. იქ I და II ადგილები ახალგაზრდა ლენინგრადელებმა — კოვალენკომ და ვერტენკოვმა მოიპოვეს. მესამე იყო წაქაძე.

სვერდლოვსკიდან სპორტსმენები ლენინგრადს ესტუმრნენ. აქ ისინი რამდენიმე შეხვედრას გამართავენ კაეგოლოვოს ტრამპლინზე და მერე დასავლეთში გაემგზავრებიან.

ნაკრებშიც რომ არ შეეყვანათ, წაქაძე მაინც მიიღებდა მონაწილეობას ოთხი ტრამპლინის წლევანდელ ტურნირში: ქართველი მოთხილამურე, რომელმაც ხტომის ახლებური ყაიდა შექმნა, პერსონალურად მიიწვიეს ამ შეჯიბრების ორგანიზატორებმა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

ᲬᲕᲔᲕᲐᲛᲓᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ — ᲛᲔᲢᲘ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, სპორტკავშირის ცენტრალურმა საბჭომ და დოსააფის ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცეს საბჭოთა არმიაში გასაწვევთა ტექნიკური და ფიზიკური მომზადების კომპლექსი — „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად“. კომპლექსის ძირითადი ამოცანაა ახალგაზრდობის აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, მისი ჯანმრთელობის განმტკიცება, მაღალი ფიზიკური და მორალური თვისებების განვითარება, გასაწვევთა აღჭურვა ტექნიკური ცოდნითა და ჩვევებით.

როგორც ცნობილია, კომპლექსი შედგება 10 სანორმატივო მოთხოვნისგან. ამ ნორმატივების ჩაბარების შემდეგ სპორტსმენს გადაეცემა ოქროს ან ვერცხლის სამკერდე ნიშანი.

კომპლექსის დებულება სპორტკავშირებს და სპორტსაზოგადოებებს ავალებდა უზრუნველეყოთ გასაწვევთა სასწავლო ვარჯიში ფიზმომზადებაში, რისთვისაც უნდა გამოეყოთ მწვრთნელები, მეთოდისტები, საზოგადოებრივი ინსტრუქტორები, გამოცდილი სპორტსმენები, მსაჯები. დებულებამ შესაბამისი ამოცანა მისცა კომკავშირულ ორგანიზაციებს, ჯანმრთელობისა და განათლების განყოფილებებს, სამხედრო კომისარიატებსა და დოსაააფის ორგანიზაციებს.

ამას წინათ საქართველოს სპორტკავშირის ბრიგადამ შეამოწმა, რა კეთდება ამ ამოცანის გადასაჭრელად თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში. გამოირკვა, რომ საბჭოთა არმიაში გასაწვევთა შორის ჩატარებული ერთგვარი მუშაობის მიუხედავად, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. აღნიშნული ქალაქების სპორტკავშირები საკითხის მხოლოდ ფორმალურად განხილვასა და ზერელე დადგენილებებს დასჯერდნენ, პრაქტიკული ნაბიჯი კი არ გადაუდგამთ: არ შეუქმნიათ საქალაქო კომისიები, სასწავლო ჯგუფები და პუნქტები სკოლებში, ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში, საწარმო-დაწესებულებებში; არც ერთხელ არ შეუმოწმებიათ, როგორ სრულდება მიღებული დადგენილებები. ყოველივე ამის შედეგად გასაწვევთა შორის სასწავლო-სპორტული მუშაობა არ დგას სათანადო დონეზე.

თბილისის უმეტეს რაიონებში, ბათუმსა და ქუთაისში ნორმების ჩაბარებისას შედეგებს უბარათებოდ აღრიცხავენ, ხოლო მათთვის, ვისაც ნორმები ჩაბარებინეს, დღემდე არ მიუცია სამკერდე ნიშნები. სპორტსაზოგადოებებისა და სპორტკავშირების საქალაქო საბჭოებს სპორტდონისძიებათა კალენდარში რატომღაც არ შეუტანიათ შესაბამისი შეჯიბრებები, სათანადოდ არ ზრუნავენ კადრების აღზრდისთვის.

თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ მეტად სუსტია კავშირი სამხედრო კომისარიატებთან, კომკავშირისა და დოსაააფის ორგანიზაციებთან, ნათელი გახდება რა უინტერესოდ ეკიდებიან სპორტკავშირები და სპორტსაზოგადოებათა საბჭოები მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის ამ ახალ ფორმას. ეს გულგრილობა მით უფრო დაუშვებელია ახლა, როცა სკკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკავშირის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელი დადგენილება გვავალებს ყოველნაირად შევუწყოთ ხელი ახალგაზრდობის ფიზიკურად წრთობას.

საქართველოს სპორტკავშირმა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და, საერთოდ, რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის სპორტკავშირს, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებს დაავალა უახლოეს ხანში დასახონ კონკრეტული ღონისძიებები ზემოხსენებულ კომპლექსზე მუშაობის გასაუმჯობესებლად; მთელი საქმიანობა წარმართონ საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სასწავლებლებში, აგრეთვე, დოსაააფის კლუბების ჯგუფებში შექმნილ სასწავლო პუნქტებში მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, შეადგინონ კომისიები ადგილობრივი პარტიული, სამეურნეო, კომკავშირული, პროფკავშირული და დოსაააფის ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან და კონტროლი გაუწიონ მათ საქმიანობას; უზრუნველყონ წვევამდელთა სასწავლო ჯგუფები და პუნქტები მწვრთნელებითა და ინსტრუქტორებით; სამხედრო კომისარიატებთან და დოსაააფის ორგანიზაციებთან ერთად სისტემატიურად ჩაატარონ მასობრივი შეჯიბრებები ნორმების ჩასაბარებლად, ხოლო ნორმების ჩაბარებლები ჩასათვლელი წიგნაკებით უზრუნველყონ.

ფიზკულტურის კოლექტივების, რაიონული, საქალაქო და საოლქო სპორტკავშირების საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად დადგინდეს წვევამდელთა და საბჭოთა არმიაში გასაწვევი ახალგაზრდების ჩაბარა მასობრივ-სპორტულ მუშაობაში და მათ მიერ ზემოხსენებული კომპლექსის ნორმების ჩაბარება.

ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ

ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲘᲗ

თბილისში დამთავრდა კონსტიტუციის სახელობის ტრადიციული თასის გათამაშება კალათბურთში, რომელშიც, ადგილობრივი გუნდების გარდა, მონაწილეობდნენ ბაქოსა და როსტოვის კოლექტივები.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ქალთა ტურნირი. ფინალისტთა ოთხეულში (შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდა) საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის გარდა გამოდიოდნენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივი და სტუმრები ბაქოდან და როსტოვიდან — ჩვენი ქვეყნის კალათბურთელთა უმაღლესი ლიგის წარმომადგენლები.

სპპატიო პრიზი წილად ხვდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს, მაგრამ ჯილდო მას როსტოვის „ბურევესტნიკთან“ ძნელი „შეტაკების“ შემდეგ დარჩა. სტუმრები ტაიმნახევარი იყვნენ წინ. თბილისელებმა ანგარიშის გათანაბრება მხოლოდ 31-ე წუთზე შეძლეს (46:46), 37-ე წუთზე კი დაწინაურდნენ — 53:52. მატჩის საბოლოო შედეგია 60:56 (28:31). უნდა ითქვას, რომ თბილისის გუნდმა შეხვედრა თავის უნარზე სუსტად ჩაატარა, განსაკუთრებით, დაცვაში.

როსტოველთა შორის ყველაზე შედეგიანი თავდასხმელი იყო ლ. კოტლოვა (194 სმ): მან გუნდს 17 ქულა შეაძინა. ლ. სავინა 12 ქულის ავტორია. ანალოგიური მაჩვენებლები აქვთ ჩვენს საუკეთესო სნაიპერებს — მ. სურგულაძეს (17) და გ. გრიგორიანს (12).

II ადგილი ბაქოელებმა დაისაკუთრეს, რომლებმაც გადამწყვეტ მატჩში დაამარცხეს როსტოვის გუნდი — 46:42.

ფინალისტ ვაჟთა ოთხეული ასე გამოიყურებოდა: თბილისის უნივერსიტეტი, „სპარტაკი“, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და „ა“ კლასის II ჯგუფის წარმომადგენელი— როსტოვის „ბურევესტნიკი“.

სპპატიო ჯილდო აქაც მასპინძლებს დარჩათ — უნივერსიტეტელებს, რომლებმაც უსიამოვნო წუთები მხოლოდ პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან შეხვედრაში განიცადეს. მაგრამ შინშიალური სხვაობით გამარჯვება (64:63) თასის მოსაპოვებლად საკმარისი აღმოჩნდა.

დანარჩენ მატჩებში უნივერსიტეტელთა უპირატესობა უფრო საგრძნობი იყო: „სპარტაკთან“ — 66:50 და როსტოველებთან — 48:39.

ლ. თუხოშვილი.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲘᲝ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲔᲑᲘ — ᲚᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ!

ᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲐ

დიდი ხანი როდია, რაც ზუგდიდის სპორტული ბაზების ოჯახს მონაკვეთრის სტენდი შეემატა. აქ უკვე რამდენიმე ტურნირიც გაიმართა. აი, ამას წინათ იგი „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობის მონაწილეებს: მასპინძლობდა. სამწუხაროდ, ზუგდიდში მხოლოდ მრგვალი სტენდია. ტურნირიც, ცხადია, მხოლოდ ამ სახეობაში ჩატარდა.

ცვლილის ხაზზე გამოვიდნენ თბილისის, ქუთაისის, მახარაძის, წალენჯიხის, ზუგდიდისა და სხვა რაიონების სპორტსმენები. შეჯიბრება კარგად დაიწყო მახარაძელმა სპორტის ოსტატმა ბ. შევრულაძემ, რომელიც ბევრჯერ ყოფილა საქართველოს ნაკრებში. როგორც ჩანს, იგი ენერგიულად ემზადება საქართველოს საიუბილეო სპარტაკიადისთვის: პირველ სერიაში 25 სამიზნედან 24 დაამსხვრია და ტურნირს სათავეში ჩაუდგა. მას თითო ქულით ჩამორჩნენ თანაგუნდელი, პირველთანრიგოსანი ო. ლომინაძე და ზუგდიდელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი გ. ბულია.

უფრო გამწვავდა ბრძოლა მეორე სერიაში. ეს ტრიო ერთხანს უშეცდომოდ ისროდა, მაგრამ აი, ბულიას ერთი სამიზნე „გაექცა“. მალე მას მხარში ჩამოუდგა „გაექცა“. მალე მას მხარში ჩამოუდგა ლომინაძეც ამოუდგა, მაგრამ სერიის ბოლომდე უფნელად ვერც მეგრელაძე მივიდა — მანაც დაიცალა ერთ სამიზნეს. ახლა ყველას აჯობა უკონკურსოდ მოასპარეზემ, ახალგაზრდა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ნ. ჯანაშიამ (თბილისი), რომელმაც ყველა მიზანს მოახვედრა. მაგრამ თბილისელმა პირველ სერიაში მხოლოდ 18 ქულა მოაგროვა და ლიდერებს საგრძნობლად ჩამორჩებოდა. ჯანაშიამ, ისე, როგორც მეგრელაძემ და ბულიამ, კარგად ისროლა მესამე სერიაშიც: სამივეს მხოლოდ თითო სამიზნე გაუფრინდა. ლომინაძემ ორ სამიზნეს ამაოდ ესროლა.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ შე-4 პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭომ მოაწყო ტურისტული ლაშქრობა იმერეთსა და რაჭაში. 250 კილომეტრი დალაშქრეს მთასა და ბარში, დაათვალიერეს ისტორიული ადგილები, ჭონდათ შეხვედრები სოფლის მეურნეობის მოწინავე მშრომელებთან და ზოგიერთი სოფლის სკოლის მოსწავლეებთან.

განსაკუთრებით დაამახსოვრდათ ნიკორწმინდა, შქმერი, ცხომარეთი... საინტერესო მოგზაურობა დამთავრდა. ტურისტები შთაბეჭდილებით აღსავსენი დაბრუნდნენ ქუთაისში.

ს. ᲙᲘᲨᲘᲒᲐᲫᲔ,
ქუთაისის ტურისტული კლუბის „ოქროს ჩარდახის“ ინსტრუქტორი.

* * *

სურათზე: ლაშქრობის მონაწილენი ნაქერალას უღელტეხილზე.
ფოტო ავტორისა.

ᲛᲝᲥᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲐᲛᲘᲜᲯᲘ

წალენჯიხის სტენდზე გაიმართა „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა ადგილიდან სროლაში. ტურნირის მონაწილეებს მწვანეული ამინდი დაუდგათ: სოფ კი არ იძროდა. მსროლელებიც კარგად იყვნენ მომზადებული და, ცხადია, ყოველივე ამან შესანიშნავი მოსავალი მოგვცა.

პირველსავე სერიაში სამი მუსტენდური დაწინაურდა: სპორტის ოსტატმა ვ. კვაკელიძემ (მახარაძე) და პირველთანრიგოსნებმა მ. თოფურიამ (წალენჯიხა) და ჯ. დარასელიამ (ზუგდიდი) 25 სამიზნედან მხოლოდ თითოს დააცილეს. მათ 1 ქულით ჩამორჩა სპორტაკელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი შ. ნაჭყებია (ქუთაისი), რომელიც უკონკურსოდ ასპარეზობდა.

მეორე სერიაში დარასელიამ და კვაკელიძემ უშეცდომოდ ისროლეს, თოფურიას და ნაჭყებიას კი ბედმა უმტყუნა: მათ ისევ თითო სამიზნე „გაუსხლტათ“. დანარჩენ 50 გასროლაში ეს ორი ლიდერი და ნაჭყებია ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ: საბოლოოდ 2-2 ქულა დაკარგა. თოფურიამ დაძაბულობას ვედარ გაუძლო და ჯერ სუთ სამიზნეს დააცილა, შემე კიდევ ორს და საბოლოოდ 91 ქულა მოაგროვა. მაგრამ მსროლელი მაინც კმაყოფილი დარჩა: მან პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმა.

როცა ძირითადი ტურნირი დამთავრდა, ჯ. დარასელიასა და ვ. კვაკელიძეს თანაბარი „ნანადირეგი“ (97-97 ქულა) აღმოაჩნდათ. შეჯიბრებაში გამარჯვებულის გამოსავლენად მათ შორის დაინიშნა დამატებითი სერია. აქ დარასელიამ იმარჯვა და ჩემპიონობაც მოიპოვა. მან პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა ოსტატის წოდება მოიპოვა შ. ნაჭყებიამაც, რომელმაც დღის მესამე შედეგი (95 ქულა) აჩვენა.

კარგად მოწყობილმა ტურნირმა წალენჯიხელთა დიდი ინტერესი გამოიწვია და სასტენდო სროლით ბევრი გაიტაცა.

მ. თოფურია.
(ჩვენი კორ.).

წალენჯიხა.

ᲠᲝᲪᲐ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ

ორიოდე წელია, რაც ილემის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობას ავთანდილ ნიქაბაძე ჩაუდგა სათავეში. თავად სპორტსმენმა, პირველი დღეებიდანვე დარაზმა სოფლის ახალგაზრდობა: საკუთარი ძალით დაიწყეს სპორტული ბაზის მშენებლობა. მთავარიან ადგილს არ შეეპუენ, მიწა მოასწორეს და ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედანი მოაწყეს.

მალე გუნდებიც ჩამოაყალიბეს, 500 მანეთის სპორტული ინვენტარი შეიძინეს და გაჩაღდა შიდასაკოლმეურნეო შეჯიბრებები ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ჭადრაკსა და შაშში.

სასოფლო-სამეურნეო არტელის მოწინავე ფიზკულტურელები წარმატებით მონაწილეობენ „კოლმეურნეს“ რაიონულ პირველობებში. განსაკუთრებით გამოიჩეოდნენ მევენახეები ა. და მ. სხილაძეები, ა. ნოზბიერიძე, გ. ბუხრაშვილი, მესიმონდეები ე. ნაკაშიძე, ნ. ნიქაბაძე, ი. სხილაძე.

Ა. ᲑᲐᲜᲣᲨᲠᲐᲕᲐ.
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონის რაიონი.

ᲛᲔᲮᲣᲗᲔ, ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢ ᲞᲐᲠᲯᲘᲐᲨᲘ

კონსტიტუციის სახელობის თასი ფრენბურთელებმაც გაითამაშეს. მაგრამ აქ ამ სპპატიო ჯილდოსთვის მხოლოდ ადგილობრივი გუნდები იბრძოდნენ. კარგი იქნებოდა, ფრენბურთელებს კალათბურთელებისგან რომ აეღოთ მაგალითი და საასპარეზოდ სხვა რომელიმე ქალაქის თუნდაც ერთი გუნდი მოეწვიათ.

ქალთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და განათლების განყოფილების კოლექტივები. სტუდენტები თავიანთ ნორჩ მეტოქეებზე უჯერ ჩამოზადებული იყვნენ და ამიტომ გადამწყვეტი მატჩი მათ შედარებით იოლად მოიგეს — 3:1.

უფრო დაძაბული გამოდგა ვაჟთა ფინალური ტურნირი, სადაც სპპატიო პრიზს ერთმანეთს სასოფლო-სამეურნეო და პოლიტექნიკური ინსტიტუტების ფრენბურთელები ეცილებოდნენ. გამარჯვებული გამოვლინდა მხოლოდ მეხუთე, გადამწყვეტ პარტიაში. სპპატიო თასი სოფლის მეურნეობის მომავალმა მუშაკებმა მოიპოვეს.

ლ. ᲤᲐᲘᲚᲝᲫᲔ.

ᲒᲖᲐᲡ ᲒᲐᲣᲓᲒᲜᲔᲗ

თბილისში, ცენტრალურ საკადრაკო კლუბში, სტარტი აიღო დედაქალაქის 1967 წლის საკადრაკო ჩემპიონატის საშო ნახევარფინალმა, საიდანაც ფინალში ორ-ორი გამარჯვებული დაიშვება.

4 ტურის შემდეგ ტურნირებში ასეთი შედგომარეობაა:

I ჯგუფში დაწინაურდა ა. კაპანაძე — 3 ქულა და 1 გადადებული პარტია. ლიდერს კვალში ჩაუდგნენ გ. ვარდიშანიძე — 2 (2), ქ. ყანანი — 2 (1) და ი. ოქროპირიძე — 2. აღსანიშნავია ჭაბუკი ა. ლიპარტელიანის გამარჯვება გამოცდილ ოსტატობის კანდიდატ დ. ჯანოევთან შეხვედრაში.

II ჯგუფში, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთპიროვნული ლიდერობა ხელთ იგდო გ. კალატოზიშვილმა — 3 ქულა და 1 გადადებული პარტია. სხვა მონაწილეთა სატურნირო შედგომარეობა ჯერჯერობით გაურკვეველია გადადებული პარტიების დიდძალი რაოდენობის გამო.

საინტერესოა, რომ მოქადრაკე გოგონამ ც. კობაიძემ მოუგო ოსტატობის კანდიდატ ე. დავითაშვილს.

III ჯგუფში ლიდერობს ა. კორეელიძე — 3,5 ქულა. კარგად აქვთ საქმე, აგრეთვე, ლ. კერნოფიცკის — 2,5 (1), ე. კარკმაზოვს — 2 (1) და ო. თურჩუსტანიშვილს — 1,5 (2).

სეზონის პოლოთქვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი ყავდის სეზონი

ვფიქრობთ, ჩვენი ფეხბურთის გულშემატკივრებს ჯერ არასოდეს გადაუტანიათ ასეთი ყინვები ტრიბუნებზე. სსრ კავშირის 28-ე ჩემპიონატმა სტარტი აიღო ადრე გაზაფხულზე, მარტში, ფინიში კი შედგა 1 დეკემბერს, ე. ი. ზამთრის პირველ დღეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ საფეხბურთო მინდვრები თოვლმა ჯერ კიდევ ოქტომბრის შუაგულში დაფარა, ძნელი არ იქნება წარმოვიდგინოთ რა მოთმინება უნდა ჰქონოდათ გულშემატკივრებსაც და თვითონ ფეხბურთელებსაც, რომ არ დაეკარგათ ეს სიყვარული ფეხბურთისადმი.

მართალია, სეზონის ასეთი გახანგრძლივებას საკმაოდ დამაჯერებელი გამართლებაც აქვს: სსრ კავშირში, სადაც გრძელი ზამთარი მეტისმეტად ზღუდავს ჩემპიონატის ფორგლებს, დიდი ხანია ეძებენ გზას შეამცირონ პაუზა და ფეხბურთი სრულწლიური გახადონ. მომავალში ეს პრობლემა თავისთავად გადაწყდება, ვინაიდან მოსკოვში, ლენინგრადში, კიევსა და ზოგიერთ სხვა სპორტულ ცენტრში განზრახულია გადახურული საფეხბურთო სტადიონების მოწყობა, მაგრამ ასეთი სტადიონები ჯერჯერობით არა გვაქვს და ფედერაციის ხელმძღვანელებიც იძულებული არიან მიმართონ სხვადასხვა ექსპერიმენტს.

შარშან გამოვცადეთ სეზონის გახანგრძლივების სხვა საშუალება. ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ქალაქებში — თბილისში, ერევანში, ტაშკენტში ზამთარში (იანვარი, თებერვალი) მოეწყო საფეხბურთო ტურნირები უცხოთის გუნდების მონაწილეობით. მათ გარკვეული სარგებელი მოგვიტანეს და ტრადიციული ხასიათიც მიეცეთათ, მაგრამ ამ ტურნირებს უშუალო დამოკიდებულება სსრ კავშირის ჩემპიონატთან მაინც არა აქვთ, ანდენად სადღეისოდ ზამთრის პრობლემა საბჭოთა ფეხბურთში აქტუალურად რჩება. ასლახან დამთავრებულმა ტურნირმა მხოლოდ ხანი გაუსვა ამ ამბავს.

მაგრამ თავი დავანებოთ ჩემპიონატის ბოლო ტურებით გამოწვეულ უსიხარულო ფიქრებს, მით უმეტეს, რომ მთელს სეზონზე მათი მიხედვით მსჯავრის გამოტანის საფუძველი არა გვაქვს.

სსრ კავშირის ჩემპიონატი მთლიანად საინტერესო და ნაყოფიერი იყო. პირველ ყოვლისა, მან მოგვცა ახალი ლიდერები: ოქროს მედლებისა და თასის მფლობელი — კიევის „დინამო“, აგრეთვე, როსტოვის არმიელთა გუნდი და ბაქოს „ნეფტიანიკი“, რომლებიც პირველად გახდნენ პრიზიორები.

კიევის დინამოელთა წარმატება, რომლებმაც ბოლოსდაბოლოს მიაღწიეს ოქრის დუბლს, სავსებით კანონზომიერია. ეს კლუბი ჯერ კიდევ პირველი ჩემპიონატის დროიდან ერთ-ერთი უძლიერესია ჩვენს ქვეყანაში. კიეველ ფეხბურთელებს უკვე ჰქონდათ ჩემპიონთა წოდებაც (1961 წელი) და სსრ კავშირის თასიც (1954 და 1964 წლები), მაგრამ განვლილ სეზონში კიეველებმა საკუთარ თავსაც გადააჭარბეს და იმდენად ძლიერად და დამაჯერებლად ითამაშეს, რომ მათ პრაქტიკულად არც ჰყოლიათ სერიოზული კონკურენტი. ისინი სტარტადანვე ლიდერობდნენ და უკვე პირველობის დამთავრებამდე ერთი თვით ადრე ღებულობდნენ საჩემპიონო მილოცვებს. კიევის „დინამოს“ ეს დიდი გამარჯვება მით უფრო სასიამოვნოა, რომ ამ კლუბმა ჯერ კიდევ გაზაფხულზე მიავლინა ეროვნულ საბჭოთა გუნდში თავისი 5 საუკეთესო მოთამაშე — ბანიკოვი, ოსტროვსკი, საბო, სერებრიანსკოვი და პარკუიანი.

კიეველთათვის თითქოს ძნელი იყო ამ დანაკარგის ანაზღაურება, მაგრამ გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ვ. მასლოვმა ადრევე იცოდა ეს სიძნელეები და დროულად მოამზადა ცვლა. კლუბის ახალბედებმა: მეკარე რუდაკოვმა, მცველმა კრულიკოვსკიმ, ნახევარმცველმა მუნტიანმა, თავდასმელმა ბიშოვეცმა და სხვებმა შეძლეს არა მარტო გამოცდილი მოთამაშეების შეცვლა, არამედ ანსამბლს მისცეს ახალი ხელწერა, რომელიც ადრინდელზე უარესი არაფრით იყო. ამიტომ არც არავის გაკვირვებია, როცა ინგლისიდან დაბრუნებული ნაკრების მოთამაშეები იძულებული იყვნენ სათადარიგოთა სკამზე უეცადათ თავიანთი რიგისთვის.

დღეს კიევის „დინამო“ საბჭოთა ფეხბურთის მწვერვალს წარმოადგენს და, ჩვენი აზრით, უნარი აქვს გაუძღოს კონკურენციას ევროპის უძლიერეს კლუბებთან ბრძოლაში. შემოდგომით ჩვენ ვნახეთ სსრ კავშირის ეს-ჩემპიონის — მოსკოვის „ტორპედოს“ მატჩები მილანის „ინტერნაციონალესთან“ ევროპის ჩემპიონთა თასზე. უპირატესობა „ინტერნაციონალეს“ მხარეს აღმოჩნდა (1:0 და 0:0), მაგრამ ჩვენი ქვეყნის ახალი ჩემპიონი შარშანდელზე გაცილებით ძლიერია და თუ შეინარჩუნებს თავის ღირსებებს მომავალ შემოდგომამდე, მისი გამოსვლები ევროპის ტურნირში ბევრ საინტერესოს გვპირდება.

ორი სხვა პრიზიორი — როსტოვის ასკა და ბაქოს „ნეფტიანიკი“ ასევე გაცილებით უფრო უკეთ თამაშობდნენ წლეულს, ვიდრე შარშან არა მარტო სატურნირო იერარქიის მხრივ, არამედ საერთოდ, კლასითაც. ეს ახალგაზრდა, მზარდი გუნდებია. როსტოველები არაერთხელ მიახლოვებიან საპრიზო ზღვარს, მაგრამ მათ არ ჰყოფნიდათ გამოცდილება და ოსტატობა მის დასაძლევად, ბაქოელებს კი ადრე არც ჰქონიათ შესაძლებლობა მიეღოთ მონაწილეობა ლიდერობისთვის უშუალო ბრძოლაში. როსტოველებთან შედარებით ისინი გაცილებით უფრო ნელა მიიწევდნენ მაღლა, მაგრამ როგორც განვლილმა სეზონმა გვაჩვენა, მათი გეგმები ძალიან სერიოზულია და დასაბუთებული.

როსტოვისა და ბაქოს გუნდების ასეთმა ძლავრმა წინსვლამ, რომლებმაც გაუსწრეს ისეთ ფავორიტებს, როგორებიცაა მოსკოვის კლუბები „ტორპედო“, „სპარტაკი“, „დინამო“, ცსკა, აგრეთვე, თბილისის „დინამო“, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია სპეციალისტებსა და გულშემატკივრებში. ბევრს მიაჩნია, რომ ამ ორი გუნდის წარმატება დაკავშირებულია მათი უშუალო ოპონენტების — მოსკოველებისა და თბილისელთა თამაშის გაუარესებასთან, რომ ამ მოწინავე კლუბებმა ნაკრებს მისცეს თავიანთი საუკეთესო ძალები და შემდეგ ვეღარ შეძლეს ეჩვენებინათ ჩემპიონატის მატჩებში მათთვის დამახასიათებელი ოსტატობა. შეიძლება აქ არის სიმართლის ნაწილი, ვინაიდან ფავორიტები მართლაც ახალ პრიზიორებზე სუსტნი აღმოჩნდნენ, მაგრამ რატომ უნდა ვილაპარაკოთ აქ მხოლოდ ერთთა სისუსტეზე და არა მეორეთა მზარდ ძალაზე?

ჩემპიონატის მეორე და მესამე პრიზიორებმაც ხომ მისცეს სსრ კავშირის ნაკრებს 2-2 ფეხბურთელი, იმდენი, რამდენიც მოსკოვის „ტორპედომ“, ცსკა-მ, ან „სპარტაკმა“, მაგრამ მათ შეძლეს შეენარჩუნებინათ თავიანთი ანსამბლები, თავიანთი სტილი და, რაც მთავარია, მობილურობა. ჩვენი აზრით, ფავორიტების გადაადგილებანი საფეხბურთო კიბეზე მოხდა უფრო ღრმა და სერიოზული მიზეზების გამო, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. წავიდა დრო, როცა არავის შეეძლო შეებედა ამ მოწინავე გუნდებისთვის, რომელთა ინტერესები ერთმანეთს ეჯახებოდა, დაწყებული პირველი ჩემპიონატიდან. პირველი 3 საპრიზო ადგილისთვის ბრძოლა წარმოებდა სამი საფეხბურთო ცენტრის — მოსკოვის, თბილისისა და კიევის ვიწრო წრეში. ახლა ამ დავაში ჩაებნენ როსტოვის, ბაქოს, დონეცკის, მინსკის, ტაშკენტის გუნდები. საბჭოთა ფეხბურთის გეოგრაფია გაცილებით უფრო გაფართოვდა და უმაღლესი ლიგის კლუბებს შორის განსხვავებამ საერთო კლასში შესამჩნევად იკლო. ჩვენი აზრით, ეს ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო მოვლენაა, რაც შეიძლება აღინიშნოს განვლილი სეზონის შედეგების მიხედვით.

ეს დასკვნა შეგვიძლია დავასაბუთოთ იმითაც, რომ სსრ კავშირის ეროვნული ნაკრები, რომელსაც ინგლისში IV ადგილი მოიპოვა, უფუძნებოდა დაახლოებით ათიოდე კლუბს. ამ ათ გუნდში მხოლოდ კიევის „დინამო“ შეგვიძლია გამოვყოთ, ვინაიდან იგი ბაზად იქცა ნაკრების მწვრთნელთათვის.

ბერიფერიის კლუბების ასეთი თვალსაჩინო წარმომადგენლობა ეროვნულ გუნდებში, სადაც, ბუნებრივია, მხოლოდ უმაღლესი კლასის მოთამაშეებს იწვევენ, შეიძლება განვიხილოთ იმის წინამძღვრად, რომ მომავალში თვითეული მათგან: შეუძლია იქცეს მოწინავე კოლექტივად, ე. ი. თანაბარი უფლებები განაცხადოს უმაღლეს ტიტულებზე.

მართალია, ეს სახვალიო შეხედულება ოპტიმისტურია და შეიძლება მეტისმეტად თამამიც, მაგრამ საამისო საფუძველი, ვფიქრობთ, არის. განვლილმა ჩემპიონატმა მოგვცა არა მარტო ახალი ლიდერები, რითაც გვაიძულა გადაგვესინჯა ძველი ფასეულობანი, მან გაგვაცნო ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელიც, რომლებსაც, ეშვგარეშეა, მომავალი წინა აქვთ. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმაზე, რომ ახალგაზრდობამ საფუძვლიანად მოიკიდა ფეხი კიევის „დინამოს“ ანსამბლში, მაგრამ ეს ერთეული მაგალითი არაა. 20 წლის კიეველი ა. ბიშევეცი ცენტრალური თავდამსხმელის ადგილს ექიშპება თავისივე თანატოლს, ბაქოელ ა. ბანიშევსკის. სსრ კავშირის მწვრთნელთა ყურადღება მიიპყრეს ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მოსკოვის „ტორპედოს“, „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივის“, თბილისის „დინამოს“, დონეცკის „შახტიორის“ და სხვა გუნდებიდან. მოსალოდნელია, რომ სსრ კავშირის 1967 წლის ნაკრები, რომლის ფორმირებაც ახლა წარმოებს, სულ ცოტა, სანახევროდ განახლებული იქნება ინგლისურ ვარიანტთან შედარებით.

ყოველ სეზონს აქვს თავისი დამახასიათებელი ნიშნები, თავისი პლუსები და მინუსები განვლილ ჩემპიონატსაც გააჩნდა თავისი სისუსტეები, მაგრამ ამას არ წაუშლია მთავარი: სეზონმა ჩაიარა განახლების, ახალ ფეხბურთელთა სახელების გაჩენისა და მათთან ერთად — ახალ გამარჯვებათა ნიშნით.

ვ. კირილიუკი,
ა. მარიამოვი.

	გუნდები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	მ	ფ	ნ	გ	ქ
1	„დინამო“ კ.		6:1 1:1	0:0 1:2	1:0 1:0	0:0 4:0	2:0 0:2	4:0 1:3	2:0 0:0	0:0 1:0	2:0 4:3	4:0 1:0	4:2 3:0	1:0 1:0	0:0 3:0	3:1 0:0	4:0 0:0	1:0 3:0	4:0 1:1	1:1 2:0	23	10	3	66-17	56
2	ცსკა რ	1:6 1:1		1:4 1:3	0:0 2:2	6:4 2:1	3:1 2:1	1:2 1:3	0:4 0:0	0:1 1:0	2:0 2:0	1:0 1:1	3:1 1:1	3:1 0:1	2:0 1:0	2:1 0:0	1:0 3:0	0:2 2:1	1:0 2:0	2:0 3:2	20	7	9	54-44	47
3	„ნეფტიანიკი“ ბ	0:0 2:1	4:1 3:1		1:2 3:0	1:1 0:0	2:0 2:1	0:1 3:2	1:0 0:2	2:3 5:0	2:0 0:1	0:0 0:0	0:1 3:0	0:2 0:0	1:0 0:1	1:0 1:0	1:3 3:0	2:0 0:1	0:0 3:2	1:1 3:2	18	9	9	56-28	45
4	„სპარტაკი“ მ	0:1 0:1	0:0 2:2	2:1 0:3		2:1 2:4	1:1 0:2	1:0 1:1	1:0 0:4	1:1 2:1	1:0 2:1	2:1 0:0	2:0 2:1	0:0 0:1	0:2 1:0	0:2 4:3	2:2 1:1	4:1 0:1	4:1 0:0	1:1 1:1	15	12	9	45-41	42
5	ცსკა	0:0 0:4	4:3 1:2	1:1 0:0	1:2 4:2		0:2 1:2	1:1 0:1	4:2 2:0	1:1 1:1	1:0 0:1	1:1 1:2	0:0 2:0	4:0 3:0	5:3 2:0	3:2 0:2	2:1 1:0	5:1 1:2	3:1 0:0	4:2 1:0	16	9	11	60-45	41
6	„ტორპედო“ მ.	0:2 2:0	1:3 1:2	0:2 1:2	1:1 2:0	2:0 2:1		1:1 0:0	4:0 2:0	1:1 1:1	1:2 0:1	1:0 0:2	3:1 3:0	1:1 1:2	1:1 1:1	2:2 2:4	1:2 3:0	1:0 2:1	3:1 3:0	4:1 1:1	15	10	11	55-39	40
7	„დინამო“ თბ	0:4 3:1	2:1 3:1	1:0 2:3	0:1 1:1	1:1 1:0	1:1 0:0		2:0 1:2	0:0 1:1	0:1 1:0	1:1 1:3	0:0 1:1	0:1 5:0	0:1 1:1	3:1 3:3	3:0 2:2	2:0 3:0	1:2 1:0	0:0 0:0	13	14	9	47-34	40
8	„დინამო“ მ	0:2 0:0	4:0 0:0	0:1 2:0	0:1 4:0	2:4 0:2	0:4 0:2	0:2 2:1		1:1 1:1	0:0 1:1	0:0 1:3	2:0 0:0	7:2 0:0	3:3 2:0	1:0 1:1	3:0 2:0	1:0 1:1	0:0 0:0	1:0 0:0	12	14	10	43-34	38
9	„პახტაკორი“	0:0 0:1	1:0 0:5	3:2 1:2	1:1 1:1	1:1 1:1	1:1 1:1	0:0 1:1	1:1 1:1		3:1 0:1	1:0 0:1	0:0 0:1	0:0 4:1	2:2 1:1	1:1 0:0	0:0 2:1	1:0 0:2	2:1 0:0	1:0 5:0	10	18	6	36-32	38
10	„შახტიორი“ დ	0:2 3:4	0:2 0:2	0:2 1:0	0:1 1:2	0:1 1:0	2:1 0:1	1:0 0:1	0:0 1:1	1:3 1:0		0:1 2:0	1:0 0:0	3:0 0:2	1:1 0:0	1:3 2:0	2:4 1:0	2:1 1:0	1:1 1:0	1:0 0:0	15	7	14	32-35	37
11	„დინამო“ მნ	0:4 0:1	0:1 1:1	0:0 0:0	1:2 0:0	1:1 2:1	0:1 2:0	1:1 3:1	0:0 1:0	0:1 0:2	1:0		1:3 1:0	1:3 0:2	3:1 0:1	2:2 4:1	1:1 1:1	2:1 1:3	0:0 0:0	2:1 1:1	11	13	12	36-39	35
12	„ვეპირატი“	2:4 0:3	1:3 1:1	1:0 0:3	0:2 1:2	0:0 0:2	1:3 0:3	0:0 1:1	0:2 0:0	0:0 1:0	0:1 0:0	3:1 0:1		3:1 0:0	1:0 0:0	0:2 2:1	1:0 2:1	2:1 1:1	3:0 0:0	1:0 2:0	12	11	13	30-39	35
13	„არარატი“	0:1 0:1	1:3 1:0	2:0 0:0	0:0 1:0	0:4 0:3	1:1 2:1	1:0 0:5	2:7 0:0	0:0 1:4	0:3 2:0	3:1 2:0	1:3 0:0		0:0 1:2	1:0 1:3	0:1 2:0	0:2 2:0	0:0 0:0	3:0 0:0	12	10	14	30-45	34
14	„ჩერნომორეცი“	0:0 0:3	0:2 0:1	0:1 1:0	2:0 0:1	3:5 0:2	1:1 1:1	1:0 1:1	3:3 0:2	2:2 1:1	1:1 0:0	1:3 1:0	0:1 0:0	0:0 2:1		2:0 1:0	1:2 0:0	1:0 0:1	0:0 1:0	0:1 2:0	10	13	13	29-36	33
15	„ტორპედო“ ყმ	1:3 0:0	1:2 0:0	0:7 0:1	1:3 3:4	2:3 2:0	2:2 4:2	1:3 3:3	0:1 1:1	1:1 0:0	3:1 0:2	2:2 1:4	2:0 1:2	0:1 3:1	0:2 0:1		1:0 1:3	3:1 1:3	2:0 0:0	2:0 0:0	9	10	17	44-59	28
16	„ზენიტი“	0:4 0:0	0:1 0:3	3:1 0:3	2:2 1:1	1:2 0:1	2:1 0:3	0:3 2:2	0:3 0:2	0:0 1:2	4:2 0:1	1:1 1:1	0:1 1:2	1:0 0:2	2:1 0:0	0:1 3:1		2:3 2:1	3:2 0:1	2:0 1:0	10	8	18	35-54	28
17	„ლოკომოტივი“ მ	0:1 0:3	2:0 1:2	0:2 0:0	1:4 1:0	1:5 2:1	0:1 1:2	0:2 0:3	0:1 1:1	1:2 2:0	1:2 0:1	1:2 3:1	2:0 1:1	2:0 0:2	0:1 1:0	1:3 3:1	3:2 1:2		0:0 0:0	2:0 2:0	11	5	20	34-49	27
18	„პრ. სოვეტოვი“	0:4 1:1	0:1 0:2	0:0 2:3	1:4 0:0	1:3 0:0	1:3 0:3	2:1 0:1	2:0 0:0	1:2 0:0	1:1 0:0	0:0 0:0	0:3 0:1	0:0 0:0	0:0 0:1	0:2 0:0	2:3 1:0	0:0 0:0		1:1 2:0	4	17	15	18-40	25
19	ცსკ ოდ	1:1 0:2	0:1 2:3	1:1 2:3	1:1 1:1	2:4 0:1	1:4 1:1	0:0 0:0	0:2 0:5	0:1 0:0	0:1 1:1	1:2 0:1	0:1 0:2	0:3 0:0	1:0 0:2	0:2 0:0	0:2 0:1	0:2 0:2	1:1 0:2		1	13	22	16-56	15

ბომბარდირი „უმიგნებს“

საუბარი ი. დათუნაშვილთან



კითხვა: რა განცდამ შეგიპყროთ, როცა გაზეთ „ტრუდის“ სპეციალური პრიზის ლაურეატი გახდით?

პასუხი: ამ პრიზის მიღებამ ძალიან გამახარა. იგი ბევრს მავალებს, პირველ ყოვლისა, უკეთ თამაშს.

კითხვა: როდის მოგეცათ რეალური შანსი გებრძოლათ ამ პრიზისთვის?

პასუხი: „არარატთან“ 5 გატანილი ბურთის შემდეგ.

კითხვა: 20 გატანილი ბურთიდან რომელი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

პასუხი: გოლი „ნეფტიანიკთან“.

კითხვა: ყველაზე მეტად რომელ მცველთან გიჭირთ თამაში?

პასუხი: მინსკელ სავოსტიკოვთან.

კითხვა: რას გვეტყვით კიეველ თანაკლუბელებზე?

პასუხი: კიეველმა ფეხბურთელებმა ნაღდად დაიმსახურეს ჩემპიონობაც და თასიც. სულითა და გულით ვუსურვებ მათ ამ წარმატებას.

კითხვა: რა მიგაჩნიათ თბილისის დინამოელთა წარუმატებლობის მიზეზად?

პასუხი: ამის მიზეზი, ჩემი აზრით, მოთამაშეთა ხშირი ავადმყოფობა, აგრეთვე, ნაკრებში მათი გაწვევაა.

კითხვა: როგორც კი მეტოქის საჯარიმო მოედანზე სახიფათო მომენტი იქმნება, თქვენ წამსვე იქა ხართ. როგორ ულებთ ამას ალღოს?

პასუხი: ცნობილია, შეტევისას მეკარე ღელავს. აი, მეც მინდა ასეთი არეულობის დროს იქ გავჩნდე და გოლი გავიტანო.

კითხვა: საგაიოდ რას ისურვებდით?

პასუხი: მსურს შემდგომშიც შევინარჩუნო პრიზი და მომავალ ჩემპიონატში ჩვენმა გუნდმა უკეთესად ითამაშოს.

ინტერვიუ ჩაიწერა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების II კურსის სტუდენტმა თ. მორგოშიამ.





გათამაშების საბოლოო ცხრილები

I ჯგუფის I ქვეჯგუფი

I-X ადგილები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ბურია“ ლანჩხუთი	18	11	5	2	25—11	27
„შუქურა“ ქობულეთი	18	10	4	4	40—29	24
„მერცხალი“ მახარაძე	18	8	4	6	16—15	20
„მეტალურგი“ ზესტაფონი	18	7	6	5	20—21	20
„კოლხეთი“ ცხაკაია	18	6	6	6	17—20	18
ფიზჯ. ინსტ. თბილისი	18	6	5	7	16—18	17
„მესხეთი“ ახალციხე	18	4	8	6	24—27	16
„ფეიქარი“ წულუკიძე	18	6	3	9	20—32	15
„ბანთიადი“ ბორჯომი	18	3	7	8	14—21	13
„სინათლე“ თბილისი	18	3	4	11	20—12	10

XI-XXIV ადგილები

„მაღაროელი“ პიანთური	12	6	4	2	13—9	16
„კოლმეურნე“ წალენჯიხა	12	7	1	4	22—9	15
„მეშახტე“ ტყვარჩელი	12	7	1	4	15—12	15
„ბახმარო“ ჩოხატაური	12	6	3	3	16—13	15
„ლოკომოტივი“ სამტრედია	12	6	1	5	16—11	13
„ოდიში“ ზუგდიდი	12	5	3	4	10—11	13
„ისანი“ თბილისი	12	6	1	5	14—17	13
„ქართლი“ გორის რაიონი	12	4	4	4	8—12	12
ასპ თბილისი	12	4	2	6	13—16	10
„ირისთონი“ ცხინვალი	12	3	3	6	11—18	9
„დინამო“ I თბილისი	12	4	0	8	9—23	8

ზონებში გამარჯვებულთა ფინალური ტურნირი

I ზონა

კასპი	6	3	3	0	6—4	9
სიღნაღი	6	3	3	0	11—7	9
ადიგენი	6	1	2	3	5—10	4
ახალქალაქი	6	0	2	4	2—3	2

შენიშვნა: I-II ადგილების გამოსარკვევად კასპის „განთიადისა“ და სიღნაღის „მშენებელის“ დამატებით თამაშში გაიმარჯვეს კასპელებმა — 2:0. მათ მიეკუთვნათ I ადგილი.

II ზონა

ოჩამჩირე	8	5	3	0	19—7	13
აბაშა	8	4	2	2	11—12	10
ჟუთაისი	8	3	3	2	15—15	9
თარჯოლა	8	3	2	3	12—14	8
ქედა	8	0	0	8	3—12	0

ფეხბურთი

საინტერესო წინადადება

VIII მსოფლიო ჩემპიონატმა ფეხბურთში ერთხელ კიდევ ნათელყო, რომ „ეულ რიმეს თასის“ გათამაშების ფორმულა და საორგანიზაციო პრინციპები ერთობ შორს დგან იდეალურისგან. საერთაშორისო სპორტულ წრეებში დიდი ხანია უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის თაობაზე, რომ ჩემპიონატის ის კოდექსი, რომელიც ათეული წლების წინ იქნა შემუშავებული ფიფა-ს მიერ, ახლა, ჩვენი დღეებისთვის, მოძველდა ერთხელ და სამუდამოდ, მოძველდა უიმედოდ.

სრული ჭეშმარიტებაა. მართლაც, როგორ შეიძლება ადგილზე გაიყინოს წესი, რომელიც განსაზღვრავს ასეთი დიდი და საინტერესო შეჯიბრების ორგანიზაციას? ნუთუ იმ წლებმა, რომლებიც გადის ერთი ჩემპიონატიდან მეორემდე, არაფერი დაატყო ფეხბურთს? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პირველ გათამაშებაში, 1930 წელს, მონაწილეობდა სულ 13 სახელმწიფო, ბოლო შეჯიბრებისთვის მათი რაოდენობა კი 71-მდე ავიდა. განა შეიძლება 1934 წელს და 1966 წელს ჩვენს პლანეტაზე ერთნაირი სისტემით განისაზღვროს თანამედროვე ფეხბურთის იერარქია?

სერიოზულ შეცდომებს აქვს ადგილი ჯერ კიდევ წინასწარი, შესარჩევი ჯგუფების შედგენისას. რა თქმა უნდა, ევროპა და სამხრეთ ამერიკა მოწინავენი არიან ფეხბურთში, მაგრამ არც ისაა სწორი, რომ აფრიკას, აზიასა და ავსტრალიას, ამ სამ კონტინენტს, ფინალში დაუთმო მხოლოდ 1 ადგილი. ამიტომ იყო, რომ აფრიკელებმა სამართლიანი პროტესტი განაცხადეს და დემონსტრაციულად დატოვეს ოქროს ჭალღმერთის თასის VIII გათამაშება.

უკეთესად არც მერეა საქმე, როცა ჩემპიონატის ფინალური მატჩები იწყება. როგორც ცნობილია, ჯგუფებში გუნდები ჯერ წრიული სისტემით თამაშობენ, მერე კი, ყველაზე საპასუხისმგებლო და რთულ ეტაპზე, ფორმულა ოლიმპიურ წესს გულისხმობს. წაგებული ეთიშება გათამაშებას, ე. ი. ერთი შეცდომაც კი შეიძლება საბედისწერო გამოდგეს. ეს კი მეტისმეტ ნერვიულობას, ზედმეტ ექსცესებს იწვევს. საამისო მაგალითები ინგლისშიც, სულ ახლახან, საკმაოდ იყო.

ამიტომაა, რომ სამხრეთ ამერიკის ნაწყვენი ფედერაციებიდან პროტესტი პროტესტზე მოდის და საქმე შეიძლება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ბიოკომიტამდეც მივიდეს: შესაძლოა სამხრეთ ამერიკამ უარი თქვას მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე. ეს დიდი სკანდალი იქნება ფიფა-ისთვის.

წინადადებები არის და საკმაოდაც. მაგალითად, ცნობილმა ფრანგმა ფეხბურთის მიმომხილველმა გ. ანომ აზრი გამოთქვა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრები მოწესრიგდეს ისე, რომ ისინი ოფიციალური მსოფლიო პირველობის მატჩებად ჩაითვალოს.

არის ლაპარაკი, რომ ოთხწლიანი შუალედები ჩემპიონატებს შორის დიდი ინტერვალია და საჭიროა ამ ვადების შემცირება.

არის მოსაზრება, რომ ევროპისა და სამხრეთ ამერიკის პირველობათა მატჩებში პარალელურად ხდებოდეს მსოფლიო ჩემპიონატის ჩათვლაც.

სულ ახლახან წამოაყენეს კიდევ ერთი, ახალი წინადადება და, ჩვენი აზრით, იგი ძალზე საყურადღებოა. ავსტრიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ჰ. ვალხმა შეკრიბა ჟურნალისტები და აუწყა მათ, რომ ავსტრიას, იუგოსლავიას, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიას განზრახული აქვთ ერთობლივად წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატურა შემდგომი მსოფლიო პირველობის ჩატარების თაობაზე.

ჰ. ვალხმა განაცხადა, რომ ამ წინადადებაზე უკვე იმსჯელეს შესაბამისი ფედერაციების ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ციურიხში, ფიფა-ს სხდომაზე. მისი აზრი ასეთია: ოთხივე ამ ქვეყნის დედაქალაქებში — ვენაში, ბელგრადში, ბუდაპეშტსა და პრაღაში ჩატარდეს 4 ჯგუფის მატჩები, მეოთხედფინალები და ნახევარფინალები, ხოლო ფინალური მატჩი — ვენაში.

გაზეთები იუწყებიან, რომ ამჟამად მიმდინარეობს ამ ახალი პროექტის დეტალური დამუშავება.

მსოფლიო პირველობის ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

„ნანტი“ — მეორე ადგილზე

საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ნანტმა“ მარსელში წააგო I ლიგის ახალბედა გუნდთან — „მარსელთან“ — 0:1. რეიმსში „სენტ-ეტიენმა“ დაამარცხა ადგილობრივი „რეიმსი“ (2:1) და ჩემპიონატის ლიდერობა დაისაკუთრა.

საუკეთესო სნაიპერია ჟ. ლეში („ლანი“) — 16 გოლი. მ. გინოს („ჟალენსიენი“) 12 გოლი აქვს გატანილი.

აი, ლიდერთა სამეული:

	თ.	ბ.	ქ.
„სენტ-ეტიენი“	18	30:19	24
„ნანტი“	18	39:26	23
„ლანი“	18	36:25	22

ორი „აინტრახტი“ და სხვანი

გფრ-ის ჩემპიონატის XV ტურში ქვეყნის ჩემპიონი — „მიუნჰენ 1860“ ნიურნბერგში შეხვდა ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდს. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

თასის მფლობელმა — მიუნჰენის „ბაიერნმა“ შინ მოუგო „კაიზერსლაუტერნს“ — 5:0.

ლიდერთა ხუთეული ასე გამოიყურება:

	თ.	ბ.	ქ.
„აინტრახტი“ (ბრაუნშვაიგი)	15	22:12	19
„აინტრახტი“ (ფრანკფურტი)	15	30:17	19
„ჰამბურგერ შფ“	15	19:16	19
„ბაიერნი“	15	34:21	18
„ჰანოვერ 96“	15	20:18	17

„სანტოსის“ დამხოგა ჩვენები საზღვარგარეთ

სან-პაულუ, 8 დეკემბერი. ბრაზილიის განთქმულმა გუნდმა „სანტოსმა“, სადაც პელე თამაშობს, მარცხი განიცადა. ეს გუნდი ბოლო 5 წლის განმავლობაში ინარჩუნებდა ბრაზილიის უძლიერესი კლუბის წოდებას, ახლა კი მან წააგო „კრუზეიროსთან“ (ბელუ-ორიზონტი) ჯერ მოწინააღმდეგის მინდორზე (2:6), შემდეგ შინაც (2:3), თუმცა „სანტოსში“ თამაშობდნენ ეროვნული ნაკრები გუნდის წევრები პელე, ლიმა, ზიტო, მენგალვიო, ტონინიო, ედუ.

მოსკოვი, 8 დეკემბერი. საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად კვიპროსს გაფრინდა მოსკოვის „ტორპედო“. სირიას გაემგზავრა სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები, რომლის შემადგენლობაში თბილისის „დინამოდან“ არიან რ. ურუშაძე, ა. ილიადი და ე. ხუციშვილი. ჩვენი გუნდი სირიაში ჩატარებული რამდენიმე მატჩის შემდეგ ლიბანს გაემგზავრება.

უკანასკნელ საათს!

დამასკო, 10 დეკემბერი. საბჭოთა ოლიმპიურმა გუნდმა სირიაში პირველი მატჩი გამართა ქვეყნის შინაგანი უშიშროების ჯარების ნაკრებთან. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 5:0 (3:0).

ეს სურათი ასახავს პორტუგალიისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების მატჩის მომენტს VIII მსოფლიო ჩემპიონატში.

მიწაზე წევს ბრაზილიელთა განთქმული ფორვარდი პელე. იგი მოწინააღმდეგის მორიგი უხეშობის მსხვერპლი გახდა. ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც დაშავებულ ბრაზილიელს მიეჭრა, იყო პორტუგალიელთა ცენტრალური თავდამსხმელი ეუსებიო (სურათზე — მარცხნივ, დახრილი). ეტყობა, კოლეგიალობისა და პატივისცემის გრძნობა ამ შესანიშნავ სპორტსმენს ძლიერად აქვს განვითარებული. გარდა ამისა, ეუსებიოც ხომ ხშირად ხდება უხეშობის მსხვერპლი!

სულ ახლახან საერთაშორისო პრესის ფურცლები მოიარა ცნობამ იმ უბედური შემთხვევის თაობაზე, რომელიც მოხდა ლისაბონში. ჩვენც ვიუწყებოდით, რომ ცნობილი კლუბის — „ბენფიკას“ მოთამაშეები ვარჯიშის შემდეგ გაემგზავრნენ თავიანთი კლუბის აუზში, სადაც ამერიკული ფირმა „ჯაკუზის“ მიერ მოწყობილი იყო სპეციალური დანადგარი ჰიდრომასაჟისთვის. ასეთი მოწყობილობა აქვთ მილანის „ინტერნაციონალეს“, მადრიდის „რეალს“ და, როგორც ზევით ვთქვით, „ბენფიკასაც“.

მაგრამ მანქანა დაზიანებული აღმოჩნდა და სწორედ მაშინ, როცა ფეხბურთელები უკვე წყალში იყვნენ, აუზში გაიპარა დენი. 26 წლის ლ. ფერნანდესი წამსვე გარდაიცვალა. დანარჩენებმა დაკარგეს გრძნობა, მაგრამ „ბენფიკას“ მოთამაშემ გრასამ, რომელიც პროფესიით ელექტროტექნიკოსია, მოასწრო დენის გამორთვა და დანარჩენი ფეხბურთელები გადარჩნენ, თუმცა პაისი, და სილვა და თვით გრასა, რომელმაც წყალში მოასწრო დენის გამორთვა, ჯერ კიდევ ავადმყოფობენ. დაზარალებულთა შორისაა ეუსებიოც.

სახელგანთქმულმა საბჭოთა ფეხბურთელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლ. იაშინმა თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა „ბენფიკას“.

„სპორტის დედოფლის“ ხვალინდელი დღე

როგორც ცნობილია, ამას წინათ ბელგრადს ეწვივნენ ჩვენი ქვეყნის სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ხომენკოვი და სსრ კავშირის მძლეოსანთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი გ. კორობკოვი. იუგოსლავიის დედაქალაქში გამართულ პრეს-კონფერენციაზე მათ თავიანთი მოსაზრებანი გამოთქვეს მძლეოსნური სამყაროს ხვალინდელ დღეზე.

როგორც აუგოსლავიური გაზეთები წერენ, პრეს-კონფერენციაზე გ. კორობკოვმა მხარი დაუჭირა სსრ კავშირისა და ბალკანეთის ქვეყნების ნაკრების მძლეოსანთა მატჩის იდეას და აღნიშნა, რომ იგი მეხიკოს ოლიმპიადისთვის მარტო ამ ქვეყნების ათლეტთა სამზადისს კი არ შეუწყობდა ხელს, არამედ, საერთოდ, „სპორტის დედოფლის“ შემდგომ აყვავებას. მან იქვე დასძინა, რომ საეჭვოა სსრ კავშირის მძლეოსნები გამოვიდნენ ევროპის ნაკრების შემადგენლობაში ამერიკის კონტინენტთან მატჩში, ვინაიდან ეს შეხვედრა, რომელიც გაისად 9-10 აგვისტოს მონრეალშ, უნდა გაიმართოს, სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის დღეებს ემთხვევა. სამაგიეროდ, სსრ კავშირის ათლეტები სპარტაკიადამდე და მის შემდეგაც ძალას შეამოწმებენ ინგლისისა და გდრ-ის მძლეოსნებთან (სსრ კავშირში), პოლონელებთან (ვარშავაში) და ფრანგებთან (პარიზში).

ბოლოს გამოვიდა ხომენკოვი. მან თქვა, რომ საბჭოთა ნაკრებს ბევრი უმაღლესი კლასის სპორტსმენი გამოაკლდა: ე. ბრუმელი სამუდამოდ დაემშვიდობა სიმაღლეზე ხტომას, დებმა თ. და ი. პრესებმა ხელი მოჭკიდეს თავიანთ ძირითად პროფესიას — ინჟინრობას და სხვ. ამ სახელმოხვეჭილი მძლეოსნების შემცველები კი ჯერ ვერ არიან მათ ღონეზე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენი გუნდი მეხიკოში ფარ-ხმალს დაყრისო.

ხმა ეთერიდან

რგოლა... ნარეცხის კასრებით

უჩვეულო სანახაობა გაიმართა ამას წინათ ინგლისის ქალაქ მაიდენჰემის ტბაზე. წყლის ზედაპირზე დასრიალებდა არა კატარღა და არა ნავი, არამედ ტივზე დამაგრებული 3 კასრი.

ამერიკისა და დასავლეთ ევროპის სპორტული საქონლის ფირმები უკვე კარგა ხანია ებრძვიან ერთმანეთს გასაღების ბაზრისთვის. ამასთან, ოკეანისგაღმელი საქმოსნები არაფერს თაკილობენ, რათა მეტოქეებს ლუკმა ხელიდან გამოაცალონ. ასე იყო ამჯერადაც.

ამერიკელებმა ეგრეთწოდებული „უნივერსალური სპორტული მოტორი“ გამოიგონეს. თუ რეკლამას დავუჯერებთ, მისი დადგმა შეიძლება სპორტულ ავტომობილებსა და ყველა ნავზე. რეკლამა რომ უფრო „შედეგიანი“ ყოფილიყო, ფირმის წარმომადგენლებმა ევროპაში აიღეს 3 ჩვეულებრივი ნარეცხის კასრი, ერთიმეორეს ფიცრებით მიაკრეს და ძრავაც ჩართეს. შემდეგ დაიქირავეს ძრავიანი ნავების სპეციალისტი, ინგლისელი სპორტსმენი დ. დეილი და „ვემის“ შემოწმება დაავალეს.

აი, ამის შედეგი გასლდათ საოცრება მაიდენჰემის ტბაზე. ფირმის წარმომადგენლებმა განაცხადეს: მზად ვართ რბოლა გავმართოთ ამავე ტბაზე, რათა ძრავის უნივერსალობა დავამტკიცოთო. მაგრამ მოეწონებათ კი ეს რბოლა ინგლისელებს?

რედაქტორი მ. ქაკაბაძე.